საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 7834/01
14/08/2020

7834-01-2-202008141502

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 4 აგვისტოს №12141 წერილი, რომელიც ეხება გურჯაანის მუნიციპალიტეტში, სოფ. ველისციხეში 2000 ადამიანისთვის გათვლილი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობის (300 $მ^3$ /დღეში) მოწყობასა და ექსპლუატაციას. გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ გამწმენდი ნაგებობის საპროექტო ტერიტორია შედგება ერთი საკადასტრო ერთეულისგან - ს/კ 51.07.66.153, რომლის ფართობია 55997 $მ^2$, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიის (უშუალოდ გამწმენდი ნაგებობის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის განთავსების) ფართობი, GPS კოორდინატები და მანძილი ზედაპირული წყლის ობიექტამდე (მდ. ჭერმისხევი);
- მდინარე ჭერმისხევში წყალჩაშვების წერტილის GPS კოორდინატები;
- გამწმენდი ნაგებობიდან წარმოქმნილი ნარჩენების (ლამი) შემდგომი მართვის საკითხები;
- სკრინინგის განცხადებაში სრულყოფილად უნდა იყოს წარმოდგენილი ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის ეფექტურობა (ცხრილი 2.2.1) "გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N 17 დადგენილების პირველი დანართის შესაბამისად.
- ზედაპირული წყლის ობიექტის (მდ. ჭერმისხევის) ჰიდროლოგიური მახასიათებლები (საშუალო წლიური და მინიმალური ხარჯების სიდიდეები).
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია, რომ სოფელ ველისციხეში საკანალიზაციო სისტემა მხოლოდ სოფლის გარკვეულ ნაწილშია და სოფლის განაშენიანებულ საზღვარს გარეთ მილები ან განადგურებულია, ან მთლიანად ამოვსებულია მიწით, თუმცა განცხადებაში არ არის წარმოდგენილი ინფორმაცია საკანალიზაციო ქსელის მოწყობის, მისი სიგრძის, განაშენიანების ფართობის ან/და სარეაბილიტაციო საქმიანობის მახასიათებლების, განხორციელების ადგილისა და შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ;

- ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროების შესახებ ინფორმაცია, ასევე ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა და რაოდენობრივი მაჩვენებლები;
- დოკუმენტაციაში არ არის მოცემული სუნის გავრცელების თავიდან აცილების მიზნით განსაზღვრული შესაბამისი პრევენციული ღონისძიებების შესახებ ინფორმაცია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი“ უზრუნველყოფს განახლებული/სრულყოფილი სკრინინგის განცხადების სამინისტროში განმეორებით წარმოდგენას ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

ხატია წილოსანი

მინისტრის მოადგილე